ევროკავშირის კონტრტერორიზმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

2023-2027

პრევენცია, სისხლისსამართლებრივი დევნა, თავდაცვა

TRC

ევროკავშირის კონტრტერორიზმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2023-2027:

პრევენცია, სისხლისსამართლებრივი დევნა, თავდაცვა

2023

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის დავალებით, ტერორიზმთან გამკლავების ფარგლებში განხორციელებული ქმედებების კოორდინირებაზე პასუხისმგებელმა კონტრტერორისტულმა კომიტეტმა (CDCT) 2023 წლის 8 თებერვალს ევროკავშირის კონტრტერორიზმის ახალი სტრატეგია და 2023-2027 წლების შესაბამისი სამოქმედო გეგმა დაამტკიცა.

ავტორი:

ბექა ფარსადანიშვილი [1]
b.parsadanishvili@gcsd.org.ge
ტერორიზმის კვლევითი ცენტრი (TRC)
საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი (GCSD)
მცხეთის ქ. 48/50, 0179 თბილისი, საქართველო

[1] * საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრის (GCSD) კვლევითი პროექტების მენეჯერი

ტერორიზმის კვლევითი ცენტრის (TRC) შესახებ

ტერორიზმის კვლევითი ცენტრი (TRC), საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრის (GCSD) ბაზაზე, 2018 წელს შეიქმნა. TRC საკუთარ მისიად, საქართველოში ტერორიზმისა და მისი მომიჯნავე თემების შესახებ მაღალი ხარისხის ცოდნის შექმნას, დაგროვებასა და გავრცელებას მოიაზრებს. ცენტრის მიზანია, ხელი შეუწყოს ამ თემების შემსწავლელ თეორეტიკოსებს და შესაბამის პრაქტიკოსებს, რათა ქვეყანაში ტერორიზმის და მისი მომიჯნავე მიმართულებებით განხორციელებული პოლიტიკა სამეცნიერო მტკიცებულებებსა და სიღრმისეულ ანალიზზე იყოს დამყარებული. ჩვენი სურვილია, წავახალისოთ და განვითარების საშუალება მივცეთ ხსენებული თემებით დაინტერესებულ ახალგაზრდებს.

დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ trc@gcsd.org.ge

ციტირება:

ფარსადანიშვილი, ბ. (2023). ევროკავშირის კონტრტერორიზმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2023-2027: პრევენცია, სისხლისსამართლებრივი დევნა, თავდაცვა. ტერორიზმის კვლევითი ცენტრი (TRC)

© 2023

ტერორიზმის კვლევითი ცენტრი (TRC)

ბექა ფარსადანიშვილი

საავტორო უფლება დაცულია

სარჩევი

აბრევიატურების განმარტება	5
შესავალი	6
კონტრტერორიზმის ახალი სტრატეგიის საჭიროება ევროკავშირში	7
2023-2027 კონტრტერორიზმის სტრატეგიის მიზნები და ამოცანები	9
კონტრტერორიზმის სტრატეგიით განსაზღვრული სამუშაო მიმართულებები	14
ევროპის საბჭოს საკვანძო სამომავლო აქტივობები კონტრტერორიზმის მიმართულებით	16
დასკვნა	17
გამოყენებული ლიტერატურა	18

აბრევიატურების განმარტება

API - მგზავრების შესახებ დეტალური (მგზავრობამდე) ინფორმაციის შეგროვების სისტემა

CD-DH - ადამიანის უფლებათა მმართველი კომიტეტი

CDCT - ევროპის საბჭოს კონტრტერორისტული კომიტეტი

CD-PC - სისხლისსამართლებრივ პრობლემათა ევროპული კომიტეტი

CoE - ევროპის საბჭო

CT-MORSE - კონტრტერორიზმი: მონიტორინგის, ანგარიშგების და მხარდაჭერის მექანიზმი

FIU - ფინანსური სადაზვერვო ერთეული

FTF - უცხოელი ტერორისტი მებრძოლი

GEC - გენდერული თანასწორობის კომიტეტი

M.O. - მოქმედების (ოპერირების) მოდელი

OSINT - გამოძიების ღია წყაროები

PC-CP - სისხლის სამართლის საკითხებში თანამშრომლობის საბჭო

P/CVE - ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენცია და მასთან გამკლავება

PNR - მგზავრთა ვინაობის აღრიცხვის სისტემა

REMVE - რასობრივი ან ეთნიკური ნიშნით მოტივირებული ძალადობრივი ექსტრემიზმი

შესავალი

2023 წლის 8 თებერვალს, 1456-ე სხდომაზე, ევროპის საბჭომ (CoE) ევროკავშირის ახალი კონტრტერორიზმის სტრატეგია და 2023-2027 წლების სამოქმედო გეგმა მიიღო. ახალი სტრატეგია ევროპის საბჭოს კონტრტერორისტული კომიტეტის (CDCT) 2022 წლის ტერორიზმთან დაკავშირებული საფრთხეების ანგარიშს (ETT) ეყრდნობა, რომელიც „პოსტორგანიზაციულ" ისლამისტურ ტერორიზმს და რასობრივი ან ეთნიკური ნიშნით მოტივირებულ ძალადობრივ ექსტრემიზმს (REMVE) ევროპის კონტინენტზე ძირითად საფრთხეებად განსაზღვრავს.[2]

2018-2022 წლების სტრატეგიის მსგავსად, ევროკავშირის ახალი კონტრტერორისტული ხედვა ტერორიზმთან გამკლავების ფარგლებში 3 ძირითად პრინციპს - ტერორიზმთან და ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული აქტივობის აღკვეთას (პრევენციას), მსგავს აქტივობებში მონაწილე პირების სისხლისსამართლებრივ დევნას და მათგან თავდაცვას ეყრდნობა.[3] 2023-2027 წლების კონტრტერორისტული სტრატეგიით ევროკავშირის შესაბამისი სტრუქტურების სამუშაო მიმართულებებად განსაზღვრულია:

> [ა] ტერორისტული ორგანიზაციების ოპერირების ტენდენციების და მათი ცვლილების შესწავლა;
>
> [ბ] ულტრამემარჯვენე იდეებით მოტივირებულ ძალადობრივ ექსტრემისტულ აქტივობასთან გამკლავება;
>
> [გ] ტერორიზმთან დაკავშირებული მიზნებისთვის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ბოროტად გამოყენებაზე რეაგირება;
>
> [დ] უცხოელი ტერორისტი მებრძოლების ევროკავშირის ტერიტორიაზე დაბრუნებასა და მათ რელოკაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობა;

---

[2] ევროპის საბჭო (2022). ევროპის საბჭოს კონტრტერორისტული კომიტეტის მე-8 პლენარული სხდომა. ბოლო ნახვა: 14 თებერვალი, 2023 წელი. ინტერნეტი; https://rm.coe.int/cdct-2022-11-en-list-of-decisions-2763-0647-6038-v-1/1680a6afbd

[3] ევროპის საბჭო (2023). 10.1.ბ. ევროპის საბჭოს კონტრტერორიზმის სტრატეგია (2023-2027). ბოლო ნახვა: 13 თებერვალი, 2023 წელი. ინტერნეტი; https://search.coe.int/cm/pages/result_details.aspx?objectid=0900001680a9ad67#_Toc121816429

[ე] ქალთა და ბავშვთა ტერორისტული ჯგუფებისგან/ორგანიზაციებისგან/ქსელებისგან ჩამოშორება და მათი საზოგადოებაში (რე)ინტეგრაცია;

[ვ] ტერორიზმთან დაკავშირებულ აქტივობას და შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილეობას შორის განსხვავებების განსაზღვრა.[4]

კონტრტერორისტული მიზნების და ამოცანების შესრულების ხელშეწყობის ფარგლებში, ევროპის საბჭოს საკვანძო აქტივობებს 2023-2027 წლებისთვის წარმოადგენს: [1] იურიდიული [2] არაიურიდიული [3] ანალიტიკური და [4] ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებული დოკუმენტების შექმნა, [5] თემატური შეხვედრების/ქსელების ფასილიტაცია და [6] ევროპის საბჭოს მიერ განსაზღვრული კონტრტერორიზმის სტანდარტის ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში რატიფიცირების და დანერგვის ხელშეწყობა.[5]

კონტრტერორიზმის ახალი სტრატეგიის საჭიროება ევროკავშირში

ევროპის საბჭოს კონტრტერორისტული კომიტეტის (CDCT) ტერორისტული საფრთხეების შესახებ 2022 წლის ანგარიშის (ETT) თანახმად, ევროკავშირის მიერ 2023-2027 წლებისთვის კონტრტერორიზმის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავების აუცილებლობა მეტწილად ტერორისტული საფრთხეების მრავალფეროვნების ზრდით და ევროკავშირის ტერიტორიაზე ტერორისტული და ძალადობრივი ექსტრემისტული სუბიექტების ე.წ „მოდუს ოპერანდის“[6] ცვლილებით არის განპირობებული.[7]

კონტრტერორისტული საბჭოს მიერ გამოცემულ ETT 2022 ანგარიშზე დაყრდნობით, ევროპის საბჭო ტერორისტულ ორგანიზაციასთან პირდაპირი კავშირის არმქონე ან არააფილირებული სუბიექტის (ადამიანის / ადამიანების ჯგუფის) მიერ განხორციელებულ ტერორისტულ თავდასხმებთან მიმართებაში კონტრტერორიზმის ახალ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში ახალ კონცეფ-

[4] ^ იქვე

[5] ^ იქვე [3]

[6] ქართ. „მოქმედების ხერხი" / „მოქმედების მოდელი"

[7] ^ იქვე [2]

ციას, ე.წ „პოსტორგანიზაციულ ტერორიზმს“ იყენებს.[8] კონტრტერორისტული საბჭო ევროკავშირის ტერიტორიაზე ტერორისტული და ძალადობრივი ექსტრემისტული აქტივობის ზრდას ალ კაიდას და ისლამური სახელმწიფოს (დაეშის) მიერ პოზიციების დაკარგვის პირობებში, აღნიშნული ერთეულების რეკრუტირების, საქმიანობის ფინანსირების და თავდასხმის ფასილიტაციის გზების ცვლილებას უკავშირებს.

არააფილირებული ჯიჰადისტი სუბიექტების მიერ ევროკავშირის ტერიტორიაზე განხორციელებული ტერორისტული თავდასხმების რისკის ზრდასთან ერთად, კონტრტერორისტული კომიტეტი (CDCT) ხაზს უსვამს რასობრივი და ეთნიკური ნიშნით მოტივირებული ძალადობრივი ექსტრემისტული აქტორების (REMVEA) აქტივობას, რაც დიდი ჩანაცვლების თეორიით, თეთრი სუპრემატიზმით, ნატივიზმით და სხვა კონსპირაციული თეორიებით არის წახალისებული. კონტრტერორიზმის ახალი სტრატეგია ულტრამემარჯვენე აქტორების მიერ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ბოროტად გამოყენებასთან ერთად, ულტრამემარჯვენე იდეების ევროკავშირის წევრ ქვეყნებში პოპულარიზაციას ადგილობრივ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ კონტექსტს უკავშირებს. მიუხედავად იმისა, რომ ევროპის საბჭოს მიერ ულტრამემარცხენე ექსტრემიზმი მზარდ საფრთხედ არ არის აღქმული, ახალ სტრატეგიაში იგი არსებითადაა მიჩნეული.[9]

ზემოთ ხსენებულ გამოწვევებთან ერთად, კონტრტერორისტული კომიტეტის მიერ შემუშავებული ახალი კონტრტერორიზმის სტრატეგია მოწოდებულია ხელი შეუწყოს ევროკავშირის წევრ ქვეყნებს უფრო ეფექტიანად ჩაერთონ მათი ტერიტორიიდან უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე (ძირითადად სირიასა და ერაყში) გამგზავრებული უცხოელი ტერორისტი მებრძოლების და მათთან დაკავშირებული პირების რეპატრიაციის პროცესში.

[8] ^ იქვე [3]

[9] ^ იქვე [2]

2023-2027 კონტრტერორიზმის სტრატეგიის მიზნები და ამოცანები

ისევე როგორც კონტრტერორიზმის 2018-2022 წლების სტრატეგია, ახალი სტრატეგია სამ საკვანძო პრინციპს ემყარება - ტერორისტული თავდასხმების და ძალადობრივი ექსტრემისტული აქტივობის აღკვეთა (პრევენცია), მსგავს აქტივობაში ჩართული სუბიექტების სისხლისსამართლებრივი დევნა და აღნიშნული ქმედებებისგან თავდაცვა. საგულისხმოა, რომ ევროპის საბჭოს მიერ 2005 წელს მიღებული კონტრტერორიზმის სტრატეგია აღნიშნულ პრინციპებთან ერთად, მე-4 კომპონენტად ტერორისტულ თავდასხმებზე რეაგირების მოიაზრებდა, რომელიც ახალ სტრატეგიაში სამართლებრივი დევნის პრინციპშია შესული.[10]

აღნიშნულ პრინციპებზე დაყრდნობისას ევროპის საბჭო ცნობს, რომ 2018-2022 წლების კონტრტერორიზმის სტრატეგიაში აღნიშნული პრინციპების ინტეგრირება ისლამისტური ტერორისტული ორგანიზაციების, ალ კაიდასა და ისლამური სახელმწიფოს, ოპერირებაზე ფოკუსირებით იყო განპირობებული.[11] თუმცა, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში პოსტორგანიზაციული (არააფილირე-ბული) ტერორიზმის და ულტრამემარჯვენე ძალადობრივი ექსტრემიზმის მზარდი რისკების შესაბამისად, ახალი სტრატეგია მიზნად ისახავს დაეხმაროს სახელმ-წიფოებს ტერორიზმის და ძალადობრივი ექსტრემიზმის ეფექტიან აღკვეთაში, სისხლისსამართლებრივ დევნასა და მათგან თავდაცვაში.[12]

პრევენცია: ტერორიზმთან და ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული აქტივობის აღკვეთა

კონტრტერორისტული კომიტეტის მიერ შემუშავებული 2023-2027 წლების კონტრ-ტერორიზმის სტრატეგია პრევენციის პრინციპის ინტეგრირებისას ევროპის საბჭოს ტერორიზმის პრევენციის კონვენციის მესამე მუხლს ეყრდნობა, რომელიც არამხოლოდ ტერორიზმთან და ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული აქტივობის აღკვეთას, არამედ მისი წამახალისებელი გარემო-ებების გავლენის შერბილებას გულისხმობს.[13]

---

[10] ევროპის საბჭო (n.d.). კონტრტერორიზმი: მონიტორინგის, ანგარიშგების და მხარდაჭერის მექანიზმი. ბოლო ნახვა: 15 თებერვალი, 2023 წელი. ინტერნეტი; https://ct-morse.eu/projects/

[11] ^ იქვე [3]
[12] ^ იქვე [3]

[13] ევროპის საბჭო (2018). ევროპის საბჭოს კონვენცია ტერორიზმის პრევენციის შესახებ. ბოლო ნახვა: 15 თებერვალი, 2023 წელი. ინტერნეტი;

კონტრტერორიზმის 2018 წლის სტრატეგიაში წარმოდგენილი პრევენციის პრინციპისგან განსხვავებით, რომელიც ტერორისტული და ძალადობრივი ექსტრემისტული საფრთხეების მიმართ მეტწილად ევროკავშირის ინსტიტუციურ გაძლიერებაზე ამახვილებს ყურადღებას და მიზნად ისახავს:

> [1.1] ძალადობრივი ექსტრემისტული იდეების დახმარებით ადამიანების რადიკალიზაციის, მათი რეკრუტირების და წვრთნის ([1.2] მათ შორის, ინტერნეტის დახმარებით) აღკვეთას;
>
> [1.3] რადიკალიზირებული პირების მიერ ტერორისტული თავდასხმის განხორციელების რისკის შეფასების ინდიკატორების იდენტიფიცირებას;
>
> [1.4] ტერორიზმით და ძალადობრივი ექსტრემიზმით დაინტერესებულ პრაქტიკოსთა ცნობიერების ამაღლებას;
>
> [1.5] ტერორიზმის ფინანსირების წინააღმდეგ გამკლავების ფარგლებში ევროპის საბჭოს არსებული ინსტრუმენტების გაუმჯობესებას,[14]

კონტრტერორიზმის ახალ სტრატეგიაში წარმოდგენილი პრევენციის კონცეფ-ცია, ევროკავშირის წევრი ქვეყნების შესაძლებლობების გაძლიერებაზე აპელირებს. 2023-2027 წლის სტრატეგიაში პრევენციის პრინციპის მიზანს ტერორისტული თავდასხმების აღკვეთის ფარგლებში წევრი სახელმწიფოების ეროვნული უწყებების ხელშეწყობა წარმოადგენს. ამ მხრივ, ევროკავშირი გამოთქვამს პოლიტიკურ მზაობას დაეხმაროს წევრ სახელმწიფოებს აიმაღლონ ცნობიერება და კომპეტენცია ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელი (მამოტივირებელი) ფაქტორების შესახებ, მიაწოდოს მათ შესაბამისი რესურსი მოქალაქეების ტერორისტულ ორგანიზაციებში რეკრუტირების შეზღუდვის მიზნით, მისცეს ეროვნულ ხელისუფლებებს შესაძლებლობა ეფექტიანად ითანამშრომლონ უცხოელ კოლეგებთან, ხელი შეუწყოს ეროვნულ ხელისუფლე-ბებს უცხოელი ტერორისტი მებრძოლების კვალის დადგენაში და გააუმჯობესოს წევრი სახელმწიფოების მგზავრთა ვინაობის აღრიცხვის (PNR) და მგზავრის შესახებ დეტალური (მგზავრობამდე) ინფორმაციის მოძიების სისტემები (API), რაც ტერორისტული ორგანიზაციების, ჯგუფების და ქსელების საქმიანობისგან

---

https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectId=09000016808afc96#_Toc515002038

[14] ^ იქვე [10]

რადიკალიზირებული პირების ჩამოშორებას ემსახურება.[15]

ტერორისტულ და ძალადობრივ ექსტრემისტულ აქტივობებში მონაწილე სუბიექტების სისხლისსამართლებრივი დევნა

ისევე როგორც პრევენციის პრინციპის შემთხვევაში, ტერორისტულ და ძალადობრივ ექსტრემისტულ აქტივობაში მონაწილე სუბიექტების სამართლებრივი დევნის ფარგლებში, ევროპის საბჭოს კონტრტერორიზმის ახალი სტრატეგია წამყვან ბირთვად წევრი სახელმწიფოების ეროვნულ ხელისუფლებებს და უწყებებს მიიჩნევს და უპირველეს ყოვლისა, მათი შესაძლებლობების გაძლიერებისკენ არის მოწოდებული.[16]

ევროკავშირის მიერ მის ტერიტორიაზე სისხლისსამართლებრივი დევნის პასუხისმგებლობის ნაწილობრივი დელეგირება წევრ სახელმწიფოებზე, არამხოლოდ აღნიშნული სახელმწიფოების პირველ მორეაგირე ერთეულებად აღქმით, არამედ 2018-2022 წლების კონტრტერორიზმის სტრატეგიით გათვალისწინებული ევროკავშირის შესაძლებლობის ხელშეწყობით არის განპირობებული, რომელიც თავის მხრივ, მიზნად ისახავდა:

> [2.1] კონტრტერორისტული კომიტეტის მიერ კონფლიქტის ზონებში არსებული ნივთმტკიცების შეგროვების მექანიზმების დახვეწას ტერორიზმში ბრალდებული პირების სამართლებრივი დევნისთვის ([2.2] მათ შორის, კონტრტერორისტული კომიტეტის კიბერდანაშაულის კონვენციის კომიტეტთან ერთად ციფრული ნივთმტკიცების შეგროვების ფარგლებში თანამშრომლობას);
>
> [2.3] ევროკავშირის წევრ ქვეყანაში დაბრუნებული უცხოელი ტერორისტი მებრძოლების და მათთან დაკავშირებული პირების სამართლებრივი პროცედურების მაღალი სტანდარტის დანერგვას;
>
> [2.4] ტერორიზმთან და ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებით საერთო საგამოძიებო და სამართლებრივი პროცედურების მიღებას;

[15] ^ იქვე [3]

[16] ^ იქვე [3]

[2.5] ტერორიზმსა და ორგანიზებულ დანაშაულზე მომუშავე ჯგუფის შექმნას.[17]

შესაბამისად, 2018-2022 წლის კონტრტერორიზმის სტრატეგიის სისხლის-სამართლებრივი დევნის პრინციპის ქვეშ განხორციელებული აქტივობებით განსაზღვრულმა ევროკავშირის ინსტიტუციურმა გაძლიერებამ, საშუალება მისცა მას ხელი შეუწყოს წევრ სახელწმიფოებს ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის შესაბამისად, აწარმოონ ტერორიზმის და ძალადობრივი ექსტრემიზ-მისთვის ბრალდებული პირების სამართლებრივი დევნა, უსაფრთხოდ გაუზიარონ ტერორიზმთან და ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული ინფორმაცია მათ კოლეგებს, გააძლიერონ (ციფრული) მტკიცებულების შეგროვების მექანიზმები და მოარგონ ისინი ევროკავშირის სტანდარტს, თავად შეძლონ კონფლიქტის ზონებიდან ტერორიზმთან და ძალადობრივ ექსტრემიზ-მთან დაკავშირებული მტკიცებულების შეგროვება, დანერგონ შესაბამისი პრაქტიკა ტერორიზმის და ძალადობრივი ექსტრემიზმის შედეგად დაზარალე-ბული პირების სასამართლო პროცესში მონაწილეობისთვის.

ტერორისტული და ძალადობრივი ექსტრემისტული აქტივობისგან თავდაცვა
ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებზე პასუხისმგებლობის დელეგირების და მათი შესაძლებლობის გაძლიერების პრინციპი შენარჩუნებულია 2023-2027 წლების კონტრტერორიზმის სტრატეგიის თავდაცვის კონცეფციაშიც, რომელიც მოწოდებულია დაიცვას ადამიანები და მათი უფლებები ტერორიზმთან დაკავშირებულ საფრთხეებთან მიმართებაში.[18] ევროპის საბჭოს მიერ 2018 წლის კონტრტერორიზმის სტრატეგიის ფარგლებში კონტრტერორისტული (CDCT), სისხლის სამართლებრივ პრობლემათა ევროპული (CDPC), ადამიანის უფლებათა მმართველი (CDDH), გენდერული თანასწორობის (GEC) კომიტეტებისა და სისხლის სამართლის საკითხებში თანამშრომლობის საბჭოსთვის (PC-CP) ისეთი პასუხისმგებლობების დაკისრებამ, როგორებიც არის: [3.1] დერადიკალიზაციის, და სოციალური რეინტეგრაციის საუკეთესო პრაქტიკების შესწავლა, [3.2] ტერორიზსა და მასთან დაკავშირებულ დანაშაულში ბრალდებულ სუბიექტთა რადიკალიზაციის რისკების შეფასება, [3.3] ტერორიზმისგან დაზარალებულ პირთა დახმარება [3.4] მზარდი ტერორისტული საფრთხეების ამოცნობა, [3.5] ტერორიზმთან და ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებით ქალებსა და ბავშვებზე ყურადღების

[17] ^ იქვე [10]

[18] ^ იქვე [3]

გამახვილება და [3.6] სამართალდამცავი ორგანოების და სხვა მორეაგირე ჯგუფების შესაძლებლობების გაძლიერება (პოსტ)ტერორისტული თავდასხმის გარემოში[19] - საშუალება მისცა კონტრტერორისტულ კომიტეტს ახალ სტრატეგია-ში ყურადღება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების შესაძლებლობების გაძლიერებაზე გაემახვილებინა.

ევროპის საბჭოს კონტრტერორიზმის ახალი სტრატეგია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების შესაძლებლობების გაძლიერების ფარგლებში მიზნად ისახავს:

> [1] გააძლიეროს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების შესაძლებლო-ბები, უკეთ დაიცვან საკუთარი მოქალაქეები ტერორიზმთან და ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული საფრთხეებისგან და ხელი შეუწყონ სხვა წევრ სახელმწიფოებს აღნიშნულ პროცესში;
>
> [2] კომპეტენციის ამაღლების გზით ხელი შეუწყოს სახელმწიფოებს ტერორიზმისგან დაზარალებული პირების დახმარებაში;
>
> [3] დაეხმაროს ეროვნულ ხელისუფლებებს მოწყვლადი ჯგუფების (მათ შორის, ქალების, ბავშვების, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების-თვის) მიმართ ინკლუზიური ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციის და მასთან გამკლავების (P/CVE) პოლიტიკის შემუშავებაში;
>
> [4] დაეხმაროს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს ტერორიზმსა და მასთან დაკავშირებულ დანაშაულებში ბრალდებული და ეჭვმიტანილი პირებისთვის (რე)ინტეგრაციის პროგრამის შექმნაში;
>
> [5] წევრ სახელმწიფოებთან თანამშრომლობის ფარგლებში შექმნას ტერორისტულ და ძალადობრივ ექსტრემისტულ აქტებზე რეაგირების საერთო სტანდარტი მორეაგირე ჯგუფებისთვის.[20]

---

[19] ^ იქვე [10]

[20] ^ იქვე [3]

კონტრტერორიზმის სტრატეგიით განსაზღვრული სამუშაო მიმართულებები

კონტრტერორისტული კომიტეტი 2022 წლის ტერორიზმთან დაკავშირებული საფრთხეების ანგარიშში წარმოდგენილი ტენდენციების შესაბამისად, ახალი სტრატეგიის მოქმედების პერიოდში სამუშაო მიმართულებებს შემდეგი სახით განსაზღვრავს:

[ა] ტერორისტული ორგანიზაციების ოპერირების ტენდენციების და მათი ცვლილების შესწავლის ფარგლებში ევროპის საბჭოს კონტრტერორისტული კომიტეტი 2023-2027 წლებში განსაკუთრებულ ყურადღებას მარტოხელა თავდამსხმელების მიერ ტერორისტული აქტის განხორციელებისთვის საჭირო რესურსის მოპოვების შესაძლებლობის და ნაკლებად დაცულ სამიზნეებზე (იგ. Soft Target) თავდასხმის რისკების შესწავლას დაუთმობს. [21]

[ბ] ულტრამემარჯვენე იდეებით მოტივირებულ ძალადობრივ ექსტრემისტულ აქტივობასთან გამკლავება - სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრის (CSIS) მიერ ევროპაში 2009 წლიდან 2020 წლამდე განხორციელებული 2200 შესწავლილ ტერორისტულ თავდასხმას შორის, ულტრამემარჯვენე იდეებით მოტივირებული აქტორების მიერ განხორციელებული თავდასხმების მომაკვდინებლობის 21.8 %-იანი მაჩვენებელი, 2019 და 2020 წლებში ბაერუმსა (ნორვეგია) და ჰანაუში (გერმანია) განხორციელებულ თავდასხმებთან ერთად, ქმნის კონტრტერორისტული კომიტეტის მიერ ულტრამემარჯვენე ძალადობრივი ექსტრემისტული და ტერორისტული ჯგუფების ოპერირების შესწავლის აუცილებლობას.[22] ახალი სტრატეგიის თანახმად, აღნიშნული მიმართულებით კონტრტერორისტული საბჭოს მიზანს ისლამისტური ტერორისტული ორგანიზაციების და ულტრამემარჯვენე აქტორების ევროკავშირის ტერიტორიაზე მოქმედების ტენდენციების შედარებითი ანალიზი წარმოადგენს.[23]

---

[21] ^ იქვე [2]

[22] სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრი (CSIS) (2020). მემარჯვენე ტერორიზმის საფრთხე ევროპაში. ბოლო ნახვა: 16 თებერვალი, 2023 წელი. ინტერნეტი; https://www.csis.org/analysis/right-wing-terrorism-threat-europe

[23] ^ იქვე [2]

[გ] ტერორიზმთან დაკავშირებული მიზნებისთვის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) ბოროტად გამოყენებაზე დროული რეაგირებისთვის კონტრტერორისტული საბჭო 2023-2027 წლებში ძირითადად ფოკუსირებული იქნება ტერორისტული და ძალადობრივი ექსტრემისტული ერთეულების მიერ აღნიშნული ტექნოლოგიის პროპაგანდის, მოწყვლადი ჯგუფების რადიკალიზაციის და მათი რეკრუტირების ტენდენციების შესწავლაზე და აღნიშნულ პროცესებთან გამკლავებისთვის აუცილებელი რეკომენდაციების დასახვაზე.[24]

[დ] უცხოელი ტერორისტი მებრძოლების ევროკავშირის ტერიტორიაზე დაბრუნებასა და მათ რელოკაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობის ფარგლებში ევროპის საბჭო, მის კომიტეტებთან, ევროპულ საბჭოსთან და ევროპარლამენტთან ერთად შეეცდება დაარწმუნოს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები უფრო აქტიურად ჩაერთონ უცხოელი ტერორისტი მებრძოლების (FTFs) და მათთან დაკავშირებული პირების რეპატრიაციის პროცესში. აღნიშნული მიზნით ევროპის საბჭოს ზემოთ ხსენებული კომიტეტები დაეხმარებიან წევრი სახელმწიფოების შესაბამის უწყებებს რეპატრიაციის და რეინტეგრაციის ევროკავშირის სტანდარტის დანერგვაში.[25]

[ე] ქალთა და ბავშვთა ტერორისტული ჯგუფებისგან/ორგანიზაციებისგან/ქსელებისგან ჩამოშორება და მათი საზოგადოებაში (რე)ინტეგრაცია უცხოელი ტერორისტი მებრძოლების (FTF) და მათთან დაკავშირებული პირების რეპატრიაციის პროცესების ხელშეწყობასთან ერთად, მიზნად ისახავს კონტრტერორისტული კომიტეტის ტერორისტული საფრთხეების შესახებ 2022 წლის ანგარიშში განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფად იდენტიფიცირებული ქალების და ბავშვების მიმართ ინკლუზიური P/CVE პოლიტიკის შემუშავებას.[26]

[ვ] ტერორიზმთან დაკავშირებულ აქტივობას და შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილეობას შორის განსხვავებების განსაზღვრის

---

[24] ^ იქვე [2]

[25] ^ იქვე [2]

[26] ^ იქვე [3]

მიზნით, ევროპის საბჭოს კოტნრტერორისტული კომიტეტი 2023-2027 წლებში კონფლიქტის ზონებიდან შესაბამისი ციფრული და ფიზიკური მტკიცებულების შეგროვების ფარგლებში აქტიურად დაეყრდნობა ფინანსურ სადაზვერვო ერთეულებს (FIU) და გამოძიების ღია წყაროებს (OSINT).[27]

ევროპის საბჭოს საკვანძო სამომავლო აქტივობები კონტრტერორიზმის მიმართულებით

ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული ზემოთ ხსენებული ასპექტების მონიტორინგთან და შეფასებასთან ერთად, ევროპის საბჭო კონტრტერორიზმის ახალი სტრატეგიის ფარგლებში მიზნად ისახავს:

[1] კონტრტერორისტული კომიტეტის თემატური სამუშაო ჯგუფების დახმარებით ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის მოამზადოს სავალდებულო (კონვენციები, პროტოკოლები) და [2] არასავალდებულო დოკუმენტები (რეკომენდაციები და ინსტრუქციები).
[3] შეიმუშაოს თემატური ანალიტიკური ანგარიშები და შეფასებითი დოკუმენტები წევრი სახელმწიფოების ტერორიზმთან და ძალადობრივი ექსტრემიზმთან დაკავშირებულ საფრთხეებთან გამკლავების შესაძლებლობების და საჭიროებების შესახებ.
[4] მოამზადოს ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტეირებული ისეთი დოკუმენტები, როგორიც არის ანალიტიკური ანგარიშები საუკეთესო კონტრტერორისტული პრაქტიკის შესახებ, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების (და არამარტო) თემატური პროფილები და შესაბამისი სახელმძღვანელოები.
[5] ტერორიზმის, კონტრტერორიზმის, ანტიტერორიზმის და ძალადობრივი ექსტრემიზმის შესახებ შეხვედრების და ქსელების ფასილიტაციას, რომელიც მიზნად ისახავს თემატური პოლიტიკის შექმნისთვის წინაპირობის მომზადებას.
[6] ევროპის საბჭოს მიერ განსაზღვრული კონტრტერორიზმის სტანდარტის ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში რატიფიცირების და დანერგვის (იმპლემენტაციის) ხელშეწყობას.[28]

---

[27] ^ იქვე [3]

[28] ^ იქვე [3]

დასკვნა

ევროპის საბჭოს კონტრტერორისტულ მიდგომებთან მიმართებაში ახალ სტრატეგიაში ასახული ცვლილებები განპირობებულია ერთის მხრივ ისეთი ტენდენციებით, როგორებიც არის ევროკავშირის ტერიტორიაზე პოსტორგანიზაციული ტერორიზმის და ულტრამემარჯვენე ძალადობრივი ექსტრემიზმის ზრდა, ხოლო მეორეს მხრივ - 2018-2022 წლების პერიოდში ევროკავშირის ინსტიტუტების გაძლიერებაზე ორიენტირებული პოლიტიკით, რამაც საშუალება მისცა ევროპის საბჭოს კონტრტერორიზმის 2023-2027 წლების სტრატეგიის ფარგლებში ყურადღება გაამახვილოს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ეროვნული კონტრტერორისტული შესაძლებლობების გაძლიერებაზე, რაც კონტრტერორიზმის ახალი სტრატეგიის მთავარ განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა

ევროპის საბჭო (2022). ევროპის საბჭოს კონტრტერორისტული კომიტეტის მე-8 პლენარული სხდომა. ბოლო ნახვა: 14 თებერვალი, 2023 წელი. ინტერნეტი; https://rm.coe.int/cdct-2022-11-en-list-of-decisions-2763-0647-6038-v-1/1680a6afbd

ევროპის საბჭო (2023). 10.1.ბ. ევროპის საბჭოს კონტრტერორიზმის სტრატეგია (2023-2027). ბოლო ნახვა: 13 თებერვალი, 2023 წელი. ინტერნეტი; https://search.coe.int/cm/pages/result_details.aspx?objectid=0900001680a9ad67#_Toc121816429

ევროპის საბჭო (2022). ევროპის საბჭოს კონტრტერორისტული კომიტეტის მე-8 პლენარული სხდომა. ბოლო ნახვა: 14 თებერვალი, 2023 წელი. ინტერნეტი; https://rm.coe.int/cdct-2022-11-en-list-of-decisions-2763-0647-6038-v-1/1680a6afbd

ევროპის საბჭო (n.d.). კონტრტერორიზმი: მონიტორინგის, ანგარიშგების და მხარდაჭერის მექანიზმი. ბოლო ნახვა: 15 თებერვალი, 2023 წელი. ინტერნეტი; https://ct-morse.eu/projects/

ევროპის საბჭო (2018). ევროპის საბჭოს კონვენცია ტერორიზმის პრევენციის შესახებ. ბოლო ნახვა: 15 თებერვალი, 2023 წელი. ინტერნეტი; https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectId=090000016808afc96#_Toc515002038

სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრი (CSIS) (2020). მემარჯვენე ტერორიზმის საფრთხე ევროპაში. ბოლო ნახვა: 16 თებერვალი, 2023 წელი. ინტერნეტი; https://www.csis.org/analysis/right-wing-terrorism-threat-europe